ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის N 3

4.03.2022

სხდომის ოქმი

1. **სამეცნიერო პროდუქციის შესრულების შედეგების შესახებ კომისიის დასკვნის განხილვა და დამტკიცება.**
2. **სხვა**

საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები :

ლალი სურმანიძე, მზია წერეთელი, ია კუტალაძე, ვახტანგ ნადარეიშვილი.

ასოცირებული პროფესორები:

მანანა მელიქიშვილი, ირინე ჟვანია, ლუიზა არუთინოვა, ხათუნა მარწყვიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, თამარ აბაშიძე, მაია მესტვირიშვილი ია აფთარაშვილი, შორენა მამუკაძე.

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

ასოცირებული პროფესორები: ბელა პეტრიაშვილი, ზაქარია ქიტიაშვილი, ეთერ ღვინერია

კენჭისყრაში სულ მონაწილეობდა 17 წევრი.

სხდომა ჩატარდა დისტანციურად, ზუმის პლატფორმის გამოყენებით.

განიხილეს:

1. **სამეცნიერო პროდუქციის შესრულების შესახებ კომისიის დასკვნა**

მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულების მონიტორინგის საფაკულტეტო კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ლალი სურმანიძემ მოახსენა საბჭოს, რომ საბჭოს

დაგზავნილი ჰქონდა კომისიის მუშაობის ამსახველი ოქმები. მან მოახსენა საბჭოს, რომ კომისიამ განიხილა აკადემიური პერსონალის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მათი სამეცნიერო პროდუქციის თაობაზე. აკადემიური პერსონალის უმრავლესობამ, კერძოდ 38 პროფესორმა წარმოადგინა სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება 100 და მეტი ქულით. ასოცირებულ პროფესორებმა, ელენე კვანჭილაშვილმა (50 ქულა) და ნინო ლაბარტყავამ (60 ქულა) ვერ დააგროვეს ასი ქულა. შესაბამისად 2021 წლის მინიმალური სამეცნიერო-კვლევითი დატვირთის (100 ქულის) შეუსრულებლობის საკითხი დგას მათ მიმართ. პროფესორმა ლ. სურმანიძემ მოახსენა საბჭოს, რომ კომისიამ იმსჯელა სანქციებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 მარტის დადგენილება (№29/2017), რომელიც არეგულირებს მინიმალური სამეცნიერო დატვირთვის პირობებს, 2021 წლის 5 აპრილამდე ძალაში იყო როგორც სარეკომენდაციო (არასავალდებულო) ხასიათის პირობები და შესასრულებლად სავალდებულო ძალა შეიძინა 2021 წლის 5 აპრილიდან. რამდენადაც სამეცნიერო აქტივობის შესრულებისთვის განკუთვნილი დროითი ინტერვალი შეადგენს მინიმუმ ორ წელიწადს, შესაბამისად, ანგარიშგება და სანქცირება შეიძლება განხორციელდეს 2023 წლის 5 აპრილიდან. აქედან გამომდინარე, იმ პერსონალის მიმართ, ვინც ვერ შეასრულა დატვირთვა, კომისიას მიზანშეწონილად არ მიაჩნია სანქცირების მექანიზმების ჩართვა.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფესორებმა ხ. მარწყვიშვილმა და ლ. არუთინოვამ აღნიშნეს, რომ აღნიშნული რეგულაცია პროფესორების სამეცნიერო მუშაობის სტიმულირების, წახლისების და ხელშეწყობის მიზნითაა. შესაბამისად, ფაკულტეტმა ხელი უნდა შეუწყოს პროფესორებს, რომელთაც საკმაოდ რთულ პრიოებებში უწევთ სამეცნიერო მუშაობა, ხელი შეუწყოს მათ კვლევით საქმიანობას. რადგანაც 2021 წლის 5 აპრილიდან შეიძინა სავალდებულო ძალა საუნივერსიტეტო რეგულაციამ, ვეთანხმებით კომისიის გადაწყვეტილებას, რომ პირველ წელს თავი შევიკავოთ სანქციებისგან. პროფესორებმა თ. გაგოშიძემ და ი. კუტალაძემ აღნიშნეს, რომ აღნიშნული რეგულაცია მხოლოდ მინიმალურ დატვირთვას ითვალისწინებს, მაშინ როცა ზოგიერთ პროფესორს 100-ზე მეტი ქულაც უგროვდებოდა. აკადემური პერსონალის მიერ კვლევითი საქმიანობის განხორციელება და შესაბამისად მისი მონიტორინგი ძალიან მნიშვნელოვანია და აუცილებელია პროფესორების წახალისება და მხარდაჭერა ამ მიმართულებით. ეს პირველი გამოცდილება იყო აღნიშნულ რეჟიმში და ამიტომ ნამდვილად სამართლიანი იქნება სანქცირების მექანიზმი ამოქმედდეს 2022 წლის 15 დეკემბრის შემდეგ, როდესაც აკადემიური პერსონალი წარმოადგენს თავის სამეცნიერო პროდუქციას.

კენჭი უყარეს წინადადებას: დამტკიცდეს 2021 წელს წარმოდგენილი შუალედური შედეგები. აკადემიური პერსონალს, რომელთაც არ აქვთ შესრულებული 2021 წლის მინიმალური სამეცნიერო დატვირთვა, მოეხსნათ ანგარიშგების ვალდებულება 2022 წლის 15 დეკემბრამდე და ანგარიშგების საბოლოო ვადად განესაზღვროთ 2023 წლის 5 აპრილი.

მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს 2021 წელს წარმოდგენილი შედეგები.
აკადემიური პერსონალს (2 ასოცირებულ პროფესორს), რომელთაც არ აქვთ შესრულებული 2021 წლის მინიმალური სამეცნიერო დატვირთვა, მოეხსნათ ანგარიშგების ვალდებულება 2022 წლის სამეცნიერო ანგარიშის წარმოდგენის ბოლო ვადამდე (15 დეკემბერი) და ანგარიშგების საბოლოო ვადად განესაზღვროთ 2023 წლის 5 აპრილი.

2. სხვა: **მინიმალური სამეცნიერო დატვირთვის შეფასების არსებული კრიტერიუმების საკითხი**

პროფესრომა ლალი სურმანიძემ საბჭოს მოახსენა, რომ კომისიამ ასევე იმსჯელა სამეცნიერო დატვირთვის შეფასების კრიტერიუმების შესახებ. აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო სამუშაოს მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა, რომ მინიმალური სამეცნიერო დატვირთვის არსებული კომპონენტები ვერ ასახავს სამეცნიერო მუშაობის მრავალფეროვნებას არ ითვალისწინებს სამეცნიერო მუშაობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა: საერთაშორისო კონფერენციაზე გაკეთებული ზეპირი მოხსენება;,სამეცნიერო ნაშრომის (წიგნი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო და მისთ.) რედაქტორობა; სამაგისტრო და სადოქტორო სწავლებისას გაწეული სამეცნიერო მუშაობა (მათ შორის: სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, დოქტორანტის კვლევითი პროექტი 1 და კვლევითი პროექტი 2, დოქტორანტის სემინარი, დისერტაციის ხელმძღვანელობა/კონსულტანტობა, სამაგისტრო და სადოქტორო შრომის რეცენზირება, რაც ასევე წარმოადგენს სამეცნიერო სამუშაოს. მან საბჭოს შესთავაზა კომისიის შექმნა, რომელიც იმუშავებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების დახვეწაზე.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ა. ქიტიაშვილმა, მ. წერეთელმა აღნიშნეს, რომ სამაგისტრო და სადოქტორო კვლევებზე მუშაობა პროფესორის სამეცნიერო მუშაობის ნაწილია, რომელიც შეიძლება დასრულდეს პუბლიკაციით. პუბლიკაციაზე მუშაობა სულ სხვა აქტივობაა, ხოლო კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა და ხელმძღვანელობა, მით უმეტეს სოციალურ და განათლების მეცნიერებებში- ძალიან შრომატევადი და კრეატიული აქტივობაა. ისინი მიესალმებიან კრიტერიუმების დახვეწას და მხარს დაუჭერენ კომისიის შექმნას. ასოც. პროფესორმა თ. აბაშიძემ და ბ. პეტრიაშვილმა აღნიშნეს, რომ ნამდვილად სასარგებლო იქნება სამეცნიერო აქტივობის შეფასების კრიტერიუმების დახვეწა და შევსება, განსაკუთრებით ეს ეხება საერთაშორისო კონფერენციებს, რომელზეც ზეპირი მოხსენების გაკეთება არ ფასდება. ძირითადი არგუმენტი არის ის, რომ კონფერენციის შედეგები სკოპუსში უნდა იყოს წარმოდგენილი. როგორც წესი, მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენციები და კონგრესები აბსტრაქტებს და მოხსენებებს აქვეყნებენ ხოლმე შესაბამის ჟურნალებში,უფრო სწორად მათ დამატებებში და თუ ეს ჟურნალი სკოპუსში ან ვებ ოფ საიენსშია ინდექსირებული არ უნდა იყოს პრობლემა.

ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვლმა შესთავაზა საბჭოს, დაავალოს უკვე შექმნილ სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულების მონიტორინგის საფაკულტეტო კომისიას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების განხილვა და დახვეწა. განათლების მეცნიერებების დეპარტამენტიდან დაემატოს ასოცირებული პროფესორი ზ. ქიტიაშვილი.

კენჭი უყარეს წინადადებას: შეიქმნას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების სრულყოფის კომისია და დაევალოს საბჭოსთვის სამეცნიერო საქმიანობის შესაფასებელი კრიტერიუმების კორექტირების პროექტის წარმოდგენა. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ: პროფესორები: ლ. სურმანიძე, მ. წერეთელი, ა. ქიტიაშვილი, ასოცირებული პროფესორები: ი. მინდაძე, ს. დოლიძე, ხ. მარწყვიშვილი, ზ. ქიტიაშვილი, ფაკულტეტის სამეცნიერო განვითარების სამსახურის უფროსი დ. ჩუბინიძე.

მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

შეიქმნას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების სრულყოფის კომისია შემდეგი შემადგენლობით: პროფესორები: ლ. სურმანიძე, მ. წერეთელი, ა. ქიტიაშვილი, ასოცირებული პროფესორები: ი. მინდაძე, ს. დოლიძე, ხ. მარწყვიშვილი, ზ. ქიტიაშვილი, ფაკულტეტის სამეცნიერო განვითარების სამსახურის უფროსი დ. ჩუბინიძე.

დაევალოს კომისიას საბჭოსთვის სამეცნიერო საქმიანობის შესაფასებელი კრიტერიუმების კორექტირების პროექტის წარმოდგენა.

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

საბჭოს მდივანი: ასოცირებული პროფესორი ირინე ჟვანია